

სტამბა დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2021 წლის 30 ივნისის #01-05-17/06 ერთობლივი დადგენილებით

საქართველო, ქ. თბილისი

საქართველოსტექნიკური
უნივერსიტეტი

2021

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტამბის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტამბა (შემდგომში - სტამბა) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულების, სამუშაოთა აღწერილობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სტამბა ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. სტამბის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2. სტამბის მიზნები და ამოცანები

1. სტამბის მიზნები და ამოცანებია:

ა) პოლიგრაფიული საქმიანობით ხელი შეუწყოს სასწავლო, სამეცნიერო, მეთოდური, საცნობარო ლიტერატურის გამოცემით სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნასა და სამეცნიერო-ლიტერატურული ბაზის გაუმჯობესებას;

ბ) მიზნების შესაბამისად, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდის გამდიდრებას, უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის ცნობადობის გაზრდას.

2. სტამბა, ახორციელებს საუნივერსიტეტო მაშტაბით პოლიგრაფიული საქმიანობის ხელმძღვანელობას.

3. სტამბა უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე სასწავლო-სამეცნიერო, მეთოდური და საცნობარო სახის ლიტერატურის დაბეჭდვას;

ბ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალური დოკუმენტების ბეჭდვას (საოფისე და სხვა ტიპის ბლანკები და ფორმები);

გ) სხვა სახის პოლიგრაფიულ საქმიანობას, უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე;

4. სტამბა უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უფლებამოსილია, განახორციელოს კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

თავი III. სტამბის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 3. სტამბის ხელმძღვანელობა

1. სტამბას ხელმძღვანელობს სტამბის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. სტამბის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სტამბის საქმიანობას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს და ახდენს დოკუმენტების ვიზირებას;

გ) წარმოადგენს სტამბას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) ანაწილებს მოვალეობებს სტამბის პერსონალს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობას უწევს სტამბის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უფლება-მოვალეობების შესრულების კონტროლს;

ვ) წარუდგენს ანგარიშს სტამბის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

ზ) წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს სტამბის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) კონტროლს უწევს სტამბის მუშაობას, ანაწილებს დავალებებსა და მოვალეობებს სტამბის თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ მითითებებს და განკარგულებებს;

ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სტამბის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) პერიოდულად ისმენს სტამბის თანამშრომელთა ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ლ) ახორციელებს ამ დებულებით, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და მართვის სხვა ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს.

მუხლი 4. სტამბის თანამშრომლები

1. სტამბის თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. სტამბის თანამშრომლების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სტამბის უფროსის სამსახურებრივი დავალებებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
3. სტამბის თანამაშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან სტამბის უფროსის წინაშე.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და სტამბის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შემთხვევაში.